ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმოებული კვლევით პროექტების ეთიკის კომისიის შექმნის შესახებ

უნივერსიტეტში წარმოებული კვლევების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, იმ კვლევების მიმართ, რომლებისთვისაც აუცილებელია ცდის პირებად ადამიანების ჩართვა, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე საჭიროა შეიქმნას შიდასაუნივერსიტეტო ეთიკის კომისია, რომელიც დაადგენს კვლევითი პროექტის ეთიკურობის საზღვრებს და მის შესაბამისობას როგორც ზოგადსაკაცობრიო, ასევე უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ნორმებთან. აქედან გამომდინარე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 6 ნოემბრის N235/ნ ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლის პირველი და მეორე პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ

1. შეიქმნას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმოებული კვლევითი პროექტების ეთიკურობის საზღვრების დამდგენი ეთიკის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   ა) ნათია კობერიძე–ჟურნალისტი;

   ბ) გიგა ზედანია– მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სრული პროფესორი, მოდერნულობის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორი;

   გ) თამარ ცოფურაშვილი– მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი;

   დ) რეზო მარსაგიშვილი– მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სრული პროფესორი;

ე) ზაალ კიკვიძე– მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სრული პროფესორი, ეკოლოგიის ინსტიტუტის წევრი;

ვ) ნათია კოპალიანი– მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სრული პროფესორი, ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

2. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.

3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბრძანებაში მითითებულ პირებს, უნივერსიტეტის ფაკულტეტებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, უნივერსიტეტის ლაბორატორიებს, კვლევით ცენტრებსა და ინსტიტუტებს.

რექტორი გიგი თევზაძე